

დროშა

ბამონის უფროსი და მრეწველთა ბარდა.

შანი ბანსადმებისა

სტრიქონზე რვა ვაზ. განცხადება შიშობა ქართულს რუსულს და სხვა ენებზედ.
თუ საჭიროება მოითხოვს, რედაქცია განსწორებს და შეამოკლებს დასაბუთებად გამოგზავნილ წერილებს. დაუბუთებელ წერილებს რედაქცია ვერ დაუბუთებს ავტორს.

ცალკე ნომერი «დროშისა» ღირს 5 კაპეიკა

რედაქცია
სიმონსონოვის ქუჩაზედ, ნახაროვის სახლში, პირველი კლასიკური გიმნაზიის უკან.
ხელის-მძაწკანა, მიიღება თბილისში «დროშის» რედაქციაში, ქუთაისში, ქილაძეების წიგნის მაღაზიაში. გარეშე მცხოვრებთათვის აღრესი: В. Тифлис, 17 редакция «Дроша»
«დროშის» ფასი
თბილისის წლისა . . . 9 მან. სამის თვისა . . . 3 მან.
ქვესის თვისა . . . 5 მან. ერთის თვისა . . . 1 მან.

ბამონი და დასერიზა ხელის-მომწარმავს

სანიმუშო ნომერი ჰელაგოვიურის ქუჩისა

„ნოვატი“-სა

შინაარსი: I) ყრმათა საკითხავი წიგნისა: I მიპატიება სასწავლებელში—ლექსი, თ. რ. კრისთავისა. II მოგონება—სურათები ყმაწვილობის ცხოვრებიდან, ა. რვეიშვილისა. III დომ-კაცი—ზღაპარი, გ. წყნეთისა. IV ჰაატა თემურიშვილი—გმირი მეუღის ირაკლი II. V დედის რჩევა—ლექსი, ა. რვეიშვილისა. VI გეოგრაფიული წერილები I და II—ახეთი, რ. ვახანაშვილისა. VII მტრედი—პატარა მოთხრობა, ა. მახსუბარძისა. VIII მარინე—ხალხური ლეგენდა, ცახელისა. IX ფინია გიშერას ცუდ-დღეობა—ხუმრობა, ნ. ნესმელიძისა. X ბუნების მეცნიერებიდან—ზოოლოგია, პოლ ბერისა, ჰინკული გაკვეთილი, თარგმანი, მადაროკისა. XI გამოცანები, რებესები. XII საინტერესო ცნობები. XIII «ნობათის» ფოსტა.

ბ) დამატებისა: XIV მკითხველს—ს. ლუღაძისა: XV სამხატვრო გაკვეთილები—განმარტებითი კითხვა, ლილიაშვილისა. XVI ბარონი ნ. ა. კორძის გარდაცვალებაზედ. XVII განცხადებანი. სამღერადი ნოტები ცალკე ფურცლად. (2—1)

6 იანვარს, 1884 წ.

სათავად-აზნაურთა სკოლის გამგე კომიტეტისაგან იქნება გამართული თბილისის «კრეუკის დაწესება»

გალი

სკოლის სასარგებლოდ. ქალებს შუეძ.

«დროშის» ქელტონი, 24 დეკემბ.

სიკვდილი ოლივიე აპაილის.

(მოთხრობა ემილ ზოლასი)

(შემდეგი*)

IV

რამდენხანს იყავი მე ამ გვარ მდგომარეობაში? წამი და საუკუნე ერთნაირად გრძელდოდა მკვდრისთვის? მე არ ვარსებობდი. მაგრამ ცოტა-ცოტათი ცნობა მაინც დამიბრუნდა. მე ვერ ისევ უწინდებურად მეძინა, მაგრამ ეხლა სიზმრებს ვხედავდი. შავ ფონს, რომელიც ფარავდა ჰორიზონტს ჩემის არსებობისას, თითქო მაჯლაჯუნა დააწვა. სიზმარი ჩემი იყო ცხოველად განხორციელება იმ ახირებული გამოგონებისა, რომელიც წინადასაშინლად თავს-ზარს მცემდა, როდესაც მე, თვით ბუნებით ცხადად ბოლდვას ჩვეული, რაღაც მწარე სიტუბოებით ვთხზავდი ტყუილს, მაგრამ გასაოცარ ამბებს.

ამ გვარად მე წარმომიდგა, რომ ჩემი ცოლი მიცდის საღვთო—გერან-დაში, მგონი,—და მე მივიღებ მასთან რკინის გზით. იმ დროს, როდესაც მატარებელი მიჰქროდა ტუნელში, უეცრად მოისმა საშინელი გრილი, რომელიც ძლიერ ჩამოგავდა ქვეა-ქუხილს, ჩამოვარდა მეწვერი. მატარებელი არ დაზიანებულა, ერთი კენჭიც არ მოხლოდა მას, მაგრამ

* იხ. «დროშა» № 255.

საგლეხო ბანკები

თბილისი, 24 დეკემბერს.

ღიღი ხანი არ იქნება, რაც ამ ახალმა საქმემ მიიქცია ყველას ყურადღება, ვისაც კი გლეხ-კაცობისათვის გული შესტკივა და მისი ბედ-იღბალი მკიდროდ შეკავშირებული მიანია მთელის სახელმწიფოს კეთილ-დღეობასთან. საგლეხო ბანკები ეხლა სალაპარაკო საგანია რუსულის ქურთალებისა და გაზეთებისა, და ამ მიმე საქმეს ზოგნი დაიმედებულნი შესტკირიან, ზოგნი მისგან არაფერს გამოელონ და ამ დაწესებულების ნეკროლოგის დასაწერად კალამი გამზადებული უქირაეთ.

ჩვენ გვინდა ჩვენს მკითხველებსაც ვაცნობოთ ამ საქმის გარემოება არა მარტო ცნობის-მოყვარეობისათვის, არამედ იმისთვის, რომ შეიძლება მალე ეს დაწესებულება ჩვენშიც გადმოწერგდეს და სირცხვილი იქნება ჩვენთვის, ისე დაეხედეთ საქმეს, რომ მისი ანბანიც არ გიცოდეთ.

შმაგრესი აზრი საგლეხო ბანკებისა ის არის, რომ გაუადვილოს მიწის ზეძენა იმ პირთ, რომელთათვის

ახლად ჯვარ-დაწერილები ჩანვეოდენ ერთი მეორეს და კენესოდენ გულმოსაკლავად. მათ აღარ ჰქონდათ სიცოცხლის იმედი და თითქო აღარც ინძრეოდენ. ზოგიერთები ძვრებოდენ ვაგონებიდან და დაეხეტებოდენ მატარებელზე, როგორც მტაცებელი მხეცები ნადირისათვის. შევლა კლასები აირ-ღირიენ: ერთი ძლიერ მდიდარი პირი, გადახვევდა უბრალო მუშას, სტიროდა და ეამხანაგებოდა. პირველსავე ჟამს ლამპები ამოიწვენ და ცეცხლი მაშინაში გაჰქრა. პასაჟირები გადადიოდენ რა ერთი ვაგონიდან მეორესთან, ეხებოდენ ხელით ბორბლებს და ამ გვარად მიდიოდენ ლოკომოტივთან, რომელსაც ცნობილობდენ ხელის შეხებითვე. მისი ძალა გაცივდა; დამუხჯდა და შეიქრა ინერციით. შეუძლებელია წარმოიდგინოს კაცმა რაიმე უფრო საშიშარი ამ მატარებლისა, რომელიც მთლად ერთიანად გამოქცეული იყო მთის შუაგულში, ცეცხლად დამარხული თავის პასაჟირებით, რომელნიც ერთი მეორის შემდეგ იხოებოდენ.

ბანუზომელი სიტუბოებით ვიკლდედი მე ამ საშინელების წერილმან გარემოებათა. შრუ ღმუილი ისმოდა ჩემს ირგვლივ ბნელაში. უეცრად რომელიმე მებობელი, რომელსაც წინადა არც კი ჰხედავდი და რომლის ხმა არც კი მსმენია, დაგეცემოდა მკვდარი მხარზე. მაგრამ ამ დროს ყველაზე უფრო მეტად მტანჯავდენ მე სიცივე და ჰაერის უქონლობა.

საც უფრო უბრინია მიწა შეიძინონ, ესე იგი, გლეხებს. შერც ერთი წოდების პირი ისე ვერ შეიყვარებს, ისე ვერ მოუფლის მამულს, როგორც გლეხი; გლეხისათვის მამული მამაც არის, ღელაც, დამტუქსავეც და ხანდისხან გამანებიერებელიც. ზღები იცნობს ყოველს ბუჩქს, რომელიც კი იმის მამულში იზრდება, ყოველს ქვას, რომელიც კი იმის მიწაში ჰგდია; სიხარულით დასტკერს «ნიშა ხარის» შემწეობით გადმოზრუნებულ ბელტებს და სიამოვნებით ოცნებობს იმ დროზედ, როდესაც გადახულ მიწაზედ აღმოცენებულ ყანას «ცეცხლივით მოედება» და თავის ჯალაბობას ურმებოთ ძნას მიუზიდავს. მიწა გლეხისათვის სარჩო-საბადებელიც არის, პოეტური გრძობის აღმძრავიც, ერთად-ერთი წყაროც სიამოვნებისა. ამიტომაც არის, რომ გლეხი მზა პერანგი გაიყიდოს და ორიოდ ნაჭერი მიწა კი შეიძინოს.

შეველით, რომ ყოველივე დაწესებულება, რომელიც კი რაიმე საშუალებით გაუადვილებს გლეხებს მამულის შეძენას, სასარგებლო დაწესებულებად უნდა ჩაითვალოს, და საგ-

არასოდეს ავრე არ შემციენია; თოვლის საბანი ჰვარავდა თითქო ჩემ მხრებს, მიმე ნოტიო ჰაერი ტყვიასავით ხვრეტდა ჩემს თავს. ამასთან სულიც მეხუთებოდა; მე მეჩვენებოდა, რომ კლდოვანი თალი მენგრევა გულზე, რომ მთელი მთა მწვევა და მტეკეს ერთიანად... მაგრამ უეცრად მოისმა სიხარულის კიჟინი. ძალი ხანია, რაც ისე გვეჩვენებოდა, თითქო შორიდან მოდის ჩვენამდის რაღაც ყრუ ხმაურობა და ეს ხმა გვაძლევდა იმედს, რომ ჩვენს ახლო მუშაობდენ. მაგრამ ჩვენი გადარჩენა იქიდან როდის უნდა მოსწრებოდათ. მართა ჩვენთაგანმა ნახა ტუნელში ხვრელი და ჩვენ ყველანი მივცვივდით გვერდს ეს ხვრელი, რომლის ზეგით მოსჩანდა პატარა ნაჭრის ოდენი ლაქვარი წერტილი. ოჰ, რა სიხარულსა! გვერიდა ჩვენ ეს ლაქვარი. ის იყო ცა. ჩვენ ყველანი ვეცანებოდით მისკენ, რომ სული მოგვეტევა! და ცხადად ვარჩევდით შავ-შავს, მოძრავ, პაწაწინა წერტილებს. ეს, უსათუოდ, მუშები ცოდილობდენ ჩვენს გადასარჩენად. საშინელი ყვირილი: «გადავრჩით, გადავრჩით!» მოისმოდა ყოველის პირიდან და აკანკალბული ხელები მიიწვდებოდენ იმ პატარა, მკრთალ-ლაქვარდ წერტილისკენ.

ამ ყვირილმა გამოამადოდა. სად ვიყავი ნეტავი? უსათუოდ, ჯერ კიდევ ტუნელში. მე ვიწეტი სიგძებე გახლართული და მარცხით და

ლენო ბანკებს პირდაპირ ამისთანა დანიშნულება აქვთ. საქმე მხოლოდ ეს არის, როგორ და რა გზით არის მოწყობილი ეს საქმე და აძლევს ყოველს გლენს შეძლების მამული შეიძინოს, თუ მარტო გამდიდრებულ «სოფლი-ქამიებს» უმართავს ხელსა? ამ საქმის გასაგებლად დანიშნული მოხელეები გულის-ტკივილით მოეკიდებიან ამ საქმეს, თუ ფორმალურად, ბიუროკრატიულად. პირველს შემთხვევაში შეიძლება ეს დაწესებულება მაინც შეიქმნას, რადგან «სოფლი-ქამიებს» უიმისოდაც სქელ ჯიბეს უფრო გაასქელებს; მეორე შემთხვევაში კი, როდესაც მოხელეთ მხოლოდ ის ექნებათ სახეში, როდის მოეცა რიცხვი თვისა, ჯამაგირები მივიღოთო და არა საქმის ერთგულება, — საგლენო ბანკები თუ მაინც ბელ დაწესებულებად არა, უსარგებლო დაწესებულებად მაინც გადაიქცევიან და კვალის დაუტოვებლად გავლიან ცხოვრების გზას.

შემდეგ წერილებში ჩვენ მოველაპარაკებით მკითხველებს, თუ ჯერჯერობით ეს საქმე როგორ არის დაყენებული რუსეთში და რა საშუალებაა, რომ ჩვენს ქვეყანასაც ამ დაწესებულებამ საიდანმე მალამო მოსცნოს.

მინილოვის საადგილ-მამული ბანკის მამული ბანკის შესახებ.

20 დეკემბერს 1883 წელს, 2 საათზე, ქუთაისის საადგილ-მამული ბანკში შესდგა სხდომა იმერეთის თავად-სახელმწიფოს ადგილ-მამულების გაყიდვის თაობაზე. დიდს ბანკის დაბანძობა მრავალი ხალხის შეკრებილი. ყოველს იქ მყოფ თავანს ნაწილის ფერი აქვს სახსრე გადაკრული, ყოველი იმათგანი მოკლეს ადგილ-მამულის ჩამორთმევას, თუმცა დანაშაული კი არა მიუძღვით რა, უსაბურო ფლანგვის მეტი. დადგა სიჩუმე. დაბანძობის შუა ადგილს სდგას მწკნე მამულ-გადაკრული გძელი ოთხ-კუთხედი სტოლი. შუა ადგილს სტოლს იქით სავარძელზე დაბანძობა ბანკის მმართველი, იქით-აქით მოუსხდენ ორივე დირექტორები, მათ შემოუწვივდენ უსაქმო დამფასებლები. რაღა ბუკრი გაკვრძელო, ამ დიდებულს სხდომას გარეგანი სახე აქვს სისხლის სამართლის სამსჯავროსა. თუმცა აქ იმის განგარგულებით სისხლი არ დაიდგება, მაგრამ წვრილშეილი კი ბუკრი დაწოკდება, თავსუთარა ბუკრს მოკლდება. რა უნდა განსაჯოს ამ პეტე-ცემულმა სხდომამ? მან უნდა გაჭყიდოს საზოგადო ვაჭრობით ზოგის ქონა, ზოგის-კენახი, ზოგის-სახსნა-სათესი, ზოგისა ტყე და მინდვრები. გამგებობის მოშორებით, პირ-და-პირ მარცხუნა მხარეზე შეუყრია თავი კავიანობან ურეებსა და რაღაც გაცოცხლებულს თავ-

ლების გამომეტყველებით იტყვიან... მარჯვნივ დგანან სახელ - განთქმული ქუთაისის ჩარჩი მებუკე, მისი აგენტია ი. ლორთქიფანიძე, მათი ამ. სანაგი დიმიტრი ჩხევიშვილი და სხვა ამხანაგი. ესენი განგარგულის სიჩქარით ითვლიან ასიგნაციების დასტუბსა. აქვე, ბანკის გამგებობის მსჯობლად, აუუდებულა სვეტზე ერთი კაცი, ფერ-მისდილი, თავლებ-ჩადამბუელი, რაღაც საშინელი მძიმე ტვირთი და ნაღვლიანი მწუხარება უნდა ჭქონდა ამ კაცს თავს დაწოლილი. მას კელის ტვირტინი არ ესურს თავზე, თორემ სხვა ადარა აგლდა რა. ეს მოგატონებდა კაცის უსამართლობით დატანჯულს გვამსა, რომელიც თითქმის სამართლის ყოფილიყო ამ დებულში. მთელი იქ მყოფი საზოგადოება ამ დროს ამ კაცის თანამგმობელი იყო, გარდა მოგატონებისა, რომელიც ჭიჭიჭობდენ მისის მშვენიერის სასტუმროს შენობის, სახელად «კოლხიდის», ხელში ჩაგდებასა.

— ბატონებო, — დაიწყო სამართლი მოკლენილმა კაცმა, — დღეს ჩემი განკითხვის დღეა. თუ სახლი გამეუფდა, კისრზე ჭკა უნდა შევიბა და ჩემის ცოლ-შვილთ წყლის მარჯვს მივსრე თავი. ბატონებო! მიიღეთ მონაწილეობა ამ ჩემს მდგომარეობაში, მამარაკეთ მებუკესთან. ბანკის შესატანი ფულები მზათა მჭკს, თვით კერძო მოკლესა, მებუკის, ფულიც ხელთა მჭკს; მაგრამ მე კვლარ გამოკვდი მაგის «შტრაფებისა» და, «ნუუსტოკის»

ქალადებსა. მაგისგან ვისესხე შეიდასი თუმიანი ფული და... შეიდასი თუმიანი მებრე წლის გასწვლს უწყს განმარტა — მაგ ჩემის ცოლადი საგესეს ხელში — ცრუ-და-ათი ათას მანეთად. მიშველეთ, ბატონებო, დამეხმარეთ, ურჩიეთ მებუკეს, ნუ დამღუპავს, რად უნდა ჩემი ნაუსამართლეც, რად კარდება ჩემის წვრილის შეიღების ცოლადი?..

საზოგადოებას დაუარა ტანში ყრუანტელმა და შეიქნა ისეთი სმაურება, თითქმის წდვის მღელვარება ამტყდარი-ყოას; მაგრამ ბანკის მმართველის წარმხასკე ჩამოაგდო სიჩუმე.

— ბატონებო, — წამოიძახა ბანკის მმართველმა, — გ. კოლხიდის სახლი ისე იდებ. ვის ჭსურს ვაჭრობაში შემოვიდეს და იყიდოს? დადგა სიჩუმე. წაფხული რომ ყოფილიყო, ბუხის ბუხილსაც გაიკონებდით.

— ბატონებო, ვის გინდათ იყიდოთ კოლხიდის სასტუმროს შენობა სახელად «კოლხიდის»?

ხმას არავინ იღებს. — მას არავინ არის მოკატე? — მე გასლავარ, — წარმოსდგა წინ ქუთაისის ჩარჩი მებუკე. მაგას მართებს ჩემი ნუუსტოკიან — სასრგებლან-შტრაფებისა რც-და-ათი ათას მანეთამდის, გთხოვთ მე დამიჩინოთ, რას მერჩის? არც თანხი, არც სასრგებელი — გაგონიდა? — მასსუნიით ამ კაცისაგან — უგრად დაიძახა სვეტზე მიუდებულმა კაცმა — ნუ დაიდბთ ჩემის წვრილის ცოლ-შვილის ცოლვას.

მარჯვნივ ვგრძობდი მაგარ კედლებს, რომელნიც გვერდებზე მაწვებოდნენ. მე მინდოდა წამომდგარიყავ, მაგრამ საშინლად მივეჯახე რალასაც შუბლით. მაშასადამე, კლდეები აღიმართებოდნენ ჩემს ირგვლივ ყოველ მხრივ და ლაქვარდი წერტილი კი ვაჭკრა და ცა აღარა სჩნდა სრულიად.

შეცრად მომავიდა ყოველისფერი. მისამი დგა შიშით თავზე; მე ვგრძობდი, თუ როგორი საშინელი ჭეშმარიტება მივიღე თავიდან ფეხებამდის, ცივი, როგორც ყინული. ნუთუ გათავდა ჩემი გაქვავება, რომელმაც ამდენი ხნის განმავლობაში უძრავ ლეშად გადაამაქცია? ღიან, მე ვინძრვოდი, მე ვენებოდი ხელებით კუბოს ფიცრებს. რომ უფრო დამეჯერებინა ჩემი თავი, მე ვინძარე უკანასკნელი საშუალება, გავადე პირი და დაეწყვე ძახილი მარგარიტას. მს ძახილი ჩამოგავდა ბლავალს და ჩემ ხმას ჭქონდა ისეთი ველური კილო, რომ მე თვითონ შემეშინდა მისი. ღმერთო! მამ ეს მართალია?

მე შემეძლო განძრევა, ყვირილი, რომ მე ცოცხალი ვარ, მაგრამ ვერაინ კი ვერ გაიგონებდა ჩემს ძახილს. მე ცოცხლად ვიყავი ჩაფლული და ჩაჭედლილი მიწაში.

მაშინ საშინელი ძალა ვინძარე, რომ დამემშვიდებინა ჩემი თავი და მეფიქრნა: არის რაიმე საშუალება, გამოვსულიყავი აქედამ, თუ არა? მაგრამ მაჯლაჯუნა თითქო ხელ-მეორედ მაწვებოდა: ტინი მუშაობდა არა ჩვეულებრივად; მე აუთრივ ერთმანეთ-

ში ლაქვარდი ცა ტუნელის ხერელში საფლავის არსებობასთან, რომელშიაც ვიღრჩობოდი. ძალზედ გახილული თვალებით მე ჩაეაჩერდი წყვილადს. იმედი მქონდა, დაეინახავდი ხერელს, ჯუჯუტანას, რაიმე სინათლეს. მაგრამ თვალები ამიჭრელდა. ღამის წყვილადში გადმოამცვივდა წითელი ნაპერწკლები. მს ნაპერწკლები თან-და-თან იზდებოდნენ და ჭქრებოდნენ. არაფერი იყო, გარდა შავი, განუზომელი უფსკრულისა! მერმე ჩემი აზრები გამოიკვენი; მე ესძლიე ჩემს სულელურ მდგომარეობას. საჭირო იყო შემეკრიბა მთელი გონებითი ძალა, რომ როგორმე ჩემი თავი გადამერჩინა.

პირველად მომეჩვენა, რომ უმთავრესი შიში ჩემთვის სულის შეხუთვა იყო, რომელიც უფრო და უფრო მემბატებოდა. შსათუოდ ჩემი ასე დიდხანს გაძლება უჭიკროთ იმისაგან მოხდა, რომ გულ-წასული ვიყავი და ყოველი სიცოცხლის წყარო შეწყვეტილი იყო. მზლა კი გული მიცემდა, ფილტვები სუნთქავდენ და შემეძლო გამომღვრჩადიყავ, თუ როგორმე არ ამოვიდოდი საფლავიდან. ამასთან მე მტანჯავდა სიცვიე და მეშინოდა — არ დამძინებოდა იმ მომავდინებელი ძილით, რომელიც თოვლში ჩაფლულ კაცსა სჩვევია.

შემეორებდი რა ჩემ თავს, რომ საჭიროა-მეთქი სულის სიმშვიდე, მე ვგრძობდი, — ტინში ნელ-ნელა სიგიჟე მებარებოდა. მაშინ გავმხნევი და ვეცადე მომეგონა ყოველისფერი, რაც კი ვიცოდი დასაფლავებამდე.


ცხადია, რომ მე მეჭირა ხუთის წლის ვალით ნაყიდი ადგილი. მს გარემოება ბევრად ამცირებდა ჩემს იმედს, რადგანაც მე წინადაც შევატყე ნანტის საერთო სასაფლაოზე, რომ ახალი საფლავები ისე ახლოს არიან ძველებთან, რომ ამ უკანასკნელებიდან ხან-და-ხან მოსჩანან კუბოს ბოლოები. ამ შემთხვევაში ჩემთვის საკმაო იყო გამომეტება რომელიმე ფიცარი და გამომძვრავიყავი. მაგრამ თუ მე რომელიმე განცალკევებულ და ყოვლის მხრით ამოტენილ საფლავში ვიყავი, სქელი მიწის გუნდი შეადგენდა ჩემთვის უძლეველ კედელს. მე ხომ გამიგონია, რომ პარიჟში ექვსი ფუტის სიღრმეზე ასაფლავებდნენ. როგორ უნდა ამოვიდე ამ ჯურღმულიდამ? ძიდეც რომ გამოეტებო კუბოს თავი, მიწა და სილა ხომ ჩამიცივდება თვალებში და ამომივსებს პირსა. მაშინ ხომ, სულ ერთაა, იგივე სიკვდილი მომეღოს, სიკვდილი საზიზღარი: ტალახში დაღრჩობა.

მიუხედელოდ მისა, მე სიფრთხილით ვსინჯავდი ჩემს ირგვლივ. ატბო დიდი იყო და მე თავისუფლად ვანძირედი ხელებს აქეთ-იქით. სახურავში ვერ მოვსძებნე ვერაერთარი ჯუჯუტანა. მარჯვნივ და მარცხნივ ცუდად გაშალაშინებული ფიცრები იყვნენ, მაგრამ მაგარნი და არა ტყდებოდნენ. მე მივიჭირე ხელი გულზე, რომ ამ რიგად მიმეტანა იგი თავთან. იქ გამოვინახე ფიცარში პატარა კუნძი, რომელიც ხელის დაჭერისაგან ირყვოდა. თუმცა საშინელი ტანჯვით ვმუ-

შაობდი, მაგრამ მაინც იმით გავათავე, რომ ამოვიდე ეს კუნძი, გავძვირინე შიგ ბაწრის თავი და გავყავი თითი, რომელსაც გარედამ მსუქანი და ნოტიო მიწა მოხვდა; მერე რა გამოვიდოდა აქედამ. მე კიდეც მეწყინა, რომ კუნძი აღარ იყო; მისთვის რომ მეშინოდა, ვაი თუ კუბოში ნოტიო მიწა შემოვიდეს-მეთქი. მეორე ცდას მთელი წამი მოუწდა. მე ვარაზუნებდი ხელით კუბოს კედლებზე, რომ ამ ნაირად გამეგო, ხომ არ არის სადმე გამოტენილი-მეთქი. მაგრამ ფიცრის ხმა ყველგან ერთნაირი იყო. მხოლოდ როდესაც მე შევეკარ ფეხი კუბოს ბოლოს, ვიგრძენი, რომ იქ ხმა სულ სხვანაირი იყო. მაგრამ, ეს, შეიძლება, ხის თვისებებზე იყოს დამოკიდებული. მე დავკარ მუშტი კუბოს სახურავს, ფიცარი არა ტყდებოდა. მივეყვი ხელი მუშაობას ფეხებით. ხე მაინც არა შინდებოდა.

შევეკრიბე, რაც ძალა მქონდა და შევეხტი მთელი სხეულით, მერე ისე ძალიან, რომ კინალამ ძელები დამემტვრა. ამ წამში მე სრულიად დაეკარგე გონება.

აქამდ ნ მე ვებრძოდი სიგიჟეს და იმ სიბრაზის ძალას, რომელიც ყოველ წამში უფრო-და-უფრო მათრობდა ისე, როგორც ათრობს ლოთს ლენის ორთქლი. მე ვსციდილობდი არ დამეყვირა, რადგანაც ვიცოდი, რომ ყვირილი უარესად დამასუსტებდა. მაგრამ აი მე უეცრად დაეწყვე ყვირილი, ბლავილი. მს ბლავილი ჩემდა უნებურად ამომდოდა ყელი-



ამ, თითქმის სამარადის ამოძახილს, ხმაზე საშინლად გაბრუნდა საზოგადოება. შემოაჯერეს რვაღი მებუფესა, წაადგეს ქვეშ და მოჰყვნენ იმის ცემა-ტყეპას; მოჭნდა ერთი წარდასაწყობი არეგ-დარეგა, ერთი წაწვა, ერთი გლეჯა: რაც აქ საზოგადოება იყო, ყველანი თითქმის ცდილობდნენ თავის გულის ჯვარის ამოყრას მებუფეს. ბოლოს, როცა საზოგადოებამ იჯერა გული მებუფის ცემით, სტარეს სული გალახულსა, გამოიყვანეს გარეთ ბანკის სადგომის კიბეზედ, წაჭკრეს ქისტი და დაყოფეს რიხინ-რიხინით კიბიდანა. მებუფეს მანამ არ გამოდგებოდა, სანამდის სულ გარეთ ქუჩაზე არ გამოადგეს. ურები და სხვა ვაჭრები რაღა აქნენ? იმათი ასაკალ-დასაკალი დღესაც არაინ იცის, სად გაჭკრენ, ან რომელს კუთხეში შეიფარეს თავი. ასე გათავდა ქუთაისის ბანკში დაგირაგებულას ადგილ-მამულების ვაჭრობა 20 დეკემბერსა. ახლა თქვან გამოიციანთ, მკითხველო, რა შედეგი უნდა ჰქონდეს ამ შემთხვევას ქუთაისის საადგილ-მამულო ბანკის კუთხე მდგომარეობაზე. ფულადი კაცები გო იძახიან:

უბედური დრო დაგვიდგა, ვაი, ბედის წერასაო!
ფულიც აღარ გამოგვადგა, გვემუქრებინ ცემასაო.

დამ. მე ვინ ვიყავი? შევლას იმ აირი ხმით, რომლის მსგავსი მე არც კი მსმენია ჩემს სიცოცხლეში. მე ვყვიროდი სულთამხუთავი შიშით, არ მინდა სიკვდილი-მეთქი. მე ვფხაჭინდი ფიცრებს ფრხნილებით და ვიბრძოდი, როგორც მგელი გალიაში. დიდხანს გაგრძელდა ეს ამბავი? არ ვიცი, მაგრამ ეხლაცა ვგრძნობ კუბოს ფიცრების სიმაგრეს, რომელთა შორის მე ვიბრძოდი, ეხლაც მესმის გრიგალი იმ ყვირილ-ტირილისა, რომლითაც ავაცხე კუბო. ბონებამ უკანასკნელად მიჩაჩა, რომ გაფრთხილებულიყავ, მაგრამ ვერ შევსძვლი.

დავიღალე. ავად-მყოფობის თვლემით შეპყრობილი, მე ველოდი სიკვდილს. მე მომეჩვენა, რომ ჩემი კუბო ქვისაა და მე ვერასოდეს ვერ გავტყვ მას. ეს უიმედობა სულ მიკარგავდა მოძრაობას და იმ გამბედაობას, რომელიც საჭირო იყო ახალ ცდისათვის. სიცივეს და ჰაერის უქონლობას მოემატა ახალი ტანჯვა.

— სიმშლით გული მიწუბდა. მალე ეს ტანჯვა აუტანელი შეიქნა. ხერხეში ვყოფიდი თითქმის, ვიღებდი მით მიწას და ველაპავიდი. ამან გააოარკეცა ჩემი ტანჯვა. მე ვკბენდი ჩემ თითებს ისე, რომ სისხლი მდიოდა მათგან. მინდოდა შემეჭამა ჩემი საკუთარი ხორცი. ოჰ, როგორ ენატრობდი ეხლა სიკვდილს! მთელი სიცოცხლე მე მეშინოდა მისი, ეხლა კი მსურდა და ვეტრფოდი მას. ღმერთო ჩემო, რა ბავშვობაა, გეშინოდეს

შინაური ძროხისა

ჩვენ ვაცნობთ ამას წინა დკითხვლებს, რომ საგარეჯოელებს მიუხედავად ბ. ა. სხვიდაძისათვის შუამდგომლობა, რომ მათს მამულში აღმოჩენილი გლაუბერის მარლის მადანზედ მუშაობისა და ამ მადნით სარგებლობის ნება თვით საგარეჯოელებსვე მიეცეს. საზოგადოებისაგან მინდობილ პირისათვის იმედი მიუციათ, რომ ამ საქმის მოხერხება შესაძლებელიაო. ეს მით უფრო სასიამოვნო იქმნება, რომ, როგორც ამბობენ, საგარეჯოელები ამ მადნის შემოსავალს ქვეყნისათვის სასარგებლო საქმეზედ მოხმარებას უბირებენ, მაგ., უნდათ სამაგალითო სკოლა გახსნან; და რომ საგარეჯოს კარი შემოსავალი ექნება, ამაში ეჭვი არ არის, რადგან გლაუბერის მარლი ობილისში კარგა ძვირად ფასობს და რაც საჭიროა, ინგლისიდან მოდის. ამ მარლის, გარდა აფთიქებიისა, ხმარობენ სხვა-და-სხვა ქარხნებში, მაგ., მინის ქარხნებში. სადაც უამარლოდ კარგი ბროლი არ გაკეთდება.

ათონის მთაზედ ქართველ ძმათა წინამძღვარი მ. ბენედიქტე გვთხოვს გამოვაცხადოთ, რომ თ. ღიმიტრი ჯორჯაძის გარდაცვალების ამბავადილს მწუხარებაში ჩაჰყარა ქართველნი მამანი. თ. ღიმიტრის კარი ყო-

ვცას ვანუწყებთლის ძალისა, შავი და უსიტყვეო ქამთა მიმდინარეობისა. სიკვდილი იმით არის კარგი, რომ სწყვეტს არსებობას ერთხელ და საუკუნოდ. ოჰ, რომ შემდლოს დაძინება ისე, როგორც სძინავთ ქვეს, რომ შემდლოს გადაქცევა მტვერად და იმასავით გაქრობა.

ჩემი ხელები სინჯადენ ფიცრებს. შეცრად მარცხენა ხელის თითში შემესო რაღაც და გამომიყვანა თვლემისაგან. ნეტავი რა უნდა ჰყოფილიყო ეს? მე დაიწყო კვლავ ძებნა ხელებით და გამოვხანე ლურსმანი, რომელიც ჩაჭედილი იყო გვერდით და არ გასულიყო კუბოს მეორე ფიცარში; ეს ლურსმანი იყო გრძელი და წვეტიანი. მისი თავი იჯდა სახურავში, მაგრამ ვგრძნობდი კი, რომ იმძრეოდა. ამ მინუტიდამ მე შემიპყრო ერთმა აზრმა: მე მინდოდა გამომეძრო ეს ლურსმანი. მარჯვენა ხელით დაუწყე მას ნძრევა. ის ძლივს იმძრეოდა, ასე რომ მუშაობა მეტისმეტად ძნელი გამოდგა. მე ვმუშაობდი ხან მარჯვენა და ხან მარცხენა ხელით; მარცხენა ცუდად მდო და მალე ილაღებოდა. მუშაობის დროს მთელი პლანი დაიბადა ჩემს თავში. ამ ლურსმანს უნდა გადავეჩინე და ამისათვის, როგორც უნდა ყოფილიყო, უნდა ამომეძრო უსათუოდ; მაგრამ მეყოფა კი დრო? სიმშლით მტანჯავდა საშინლად, ასე რომ იმულებული ვიყავ გაფრთხილებულიყავ, რადგანაც თავის ტრიოლი მისუსტებდა ხელებს და მირევა გონებას. მე

ველოდის ღია იყო გაჭირვებულთა და შეწუხებულთათვის და ჩვენი მონასტრის ბედის გამჯობინებისათვის მრავალსა ზრუნავდა ვანსვენებული. ათონის ბერებს თ. ღიმიტრისათვის საუკუნო სახსენებელი დაუწყებიათ.

ახალციხიდან გვეწერენ: წარსულ შაბათს, მეექვსე საათზე, უცნაო მოსმა ხმაურობა სალდათებისა, რომელნიც შუა-ბაზარში მორბოდნენ. მივიდნენ წყაროსთან, სტაცეს ხელი წმ. მარინის ეკლესიის დიაკონს, პეტრე შაფეროვს, რომელსაც შინ წყალი მიჰქონდა, სცემეს თოფის კონდახებით, რომლისაგამო დღესაც ლოგინში წვეს და წაიყვანეს ციხეში. ხალხი ბერს ეცადა გენთავისუფლებინა, მაგრამ ვერას გახდა.

ამ ამბის მიზეზი შემდეგა გახლდათ: სალდათი მისულიყო წყაროზე და ერთს ბიჭს არ გაეშვა ასამებად, რადგან ის უფრო ადრე მისულიყო. სალდათს მოენდომნა ძალით ამება, ბიჭს ხელი ეკრა. ის იმ წამსვე ციხეში გაქცეულიყო, მოესხენებინა უპროსისათვის, კნალამ მომკლესო; იმასაც მიეცა განკარგულება თორმეტი თოფიანისთვის, ვინც შეგებდნენ წყაროზე, ციხეში მოიყვანეთო.

ამ საგანზე მოახდინეს გამოძიება... ამ გვარი განკარგულება მეორე გახლავთ. შარშან, ყველიერში


ვწოდვი სისხლის წვეთებს, რომელიც გამოდიოდნენ გაჭრილი თითიდან. მისე მომიწონა, რომ ბოლოს ვუკბინე ხელს და დავლიე საკუთარი სისხლი. ამან მომცა ძალა და გამაცხოველა, როგორც თბილმა და მავარმა ღვიწმომ. სისხლი ჩამომდიოდა ტუჩებზე. მე ხელ-ახლად დაეწყო ნძრევა ლურსმანს ორივე ხელებით და ამოვადრე კიდევ.

ამ წამიდან მე მწამდა ჩემი გადარჩენა. შევარტე ეს ლურსმანი წვეთით კუბოს სახურავში, მე გავიყვანე მით, რაც შეიძლებოდა, უფრო გრძელი ხაზი. ამ ხაზზე ვატარებდი მერე ლურსმანს წინ და უკან, რომ, რაც შეიძლებოდა, უფრო ღრმად დამეჭრა ფიცარი. ხელები მიცივდებოდნენ, ჯიუტობა ჩემი გადაიქცა სიბრაზედ. როცა შევატყე, რომ ლურსმანმა საკმაოდ გასჭრა ხე, მე ვარჩიე გადავბრუნებულყავ, დაეწოლილიყავ პირქვე და ამ გვარად ხელ-ფეხ დაბჯენილს უფრო მაგრად ამეკრა კუბოს თავი. სახურავმა მართლა დაიწყო კრაქუნა, მაგრამ არ გასკდა მაინც კი. ლურსმანს ვერ გავჭრა საკმაოდ. მე კვლავ დაეწევი ზურგზე და მიყავი ხელი მუშაობას. მს მეტისმეტი დიდი შრომა იყო ჩემთვის. ბოლოს, ხელ-ახლად ვსცადე და ეხლა კუბოს თავი მართლა გასკდა თავიდან ბოლომდის.

რასაკვირველია, მე ჯერ არ ვიყავი გადარჩენილი, მაგრამ გული მაინც იმედით მევსებოდა. მე ეხლა არა

შ— შეილს მოუფიდე და უნდა გეცემო საცოდავს და აკვანს...

ქ მეთათხილდამ გვატყობინებენ, რომ ახლად-გარდაცვალებულთა თავ. ნესტორ წერეთლის მეუღლეს კნ. პელაგიას თავის ქმრის შემდეგ დიდ-ხანს ველარ უცოცხლია და წარსულ ორშაბათს საღამოს იგიც გარდაცვალებულა.



წერილი რედაქციისათვის.

შორნიღესად გთხოვთ ჩემს წერილს მისცეთ ადგილი ჰატიკემულის «დროებისა» ფურცლებზედ.

საკვირველია საქციელი თბილისის მეტრე ნაწილის პრისტივისა, გვარად ბ—ისა 17 დეკემბერს მას გამოგზავნა კაცი თავის ქვეშევრდომი შიკიტნებისთვის, ბაყაბისთვის მეფურნე-მეზურგებისთვის, და კადეკ სსკებისთვის. ვინც გო თავის საგბილოდ ეცნო, რომ უწვევად გამოცხადებულყვენ ბ. პრისტივთან თითო კაცი დუქანზედ, დილის ათ საათზეს. ის კი არავის უთხრეს, თუ რისთვის. რასაკვირველია, ყველანი წაიღენ ამ ბძახებაზედ. წაიღენ და რა გაიგას?! ბ. ბ—ი თურმე შეიყვანს განცალკარაში და ათ შაურანს ჭიდაობის ბილეტებს ურიგებს მათ. თუ ბ. ბ—ს მიწერილი ჰქონდა უფროსისაგან, რომ საქველ-

თუ არ ვაწვებოდი, არც კი ვინძრეოდი სრულებით, რადგანაც მეშინოდა, რომ ზეიდან მიწა არ ჩამოცვივნილიყო. ჩემი აზრი იყო, მესარგებლა ფიცრებით, როგორც სახურავით, როდესაც დავიწყებდი ხერხელის გაყვანას მიწაში. საუბედუროდ, ამ გვარი მუშაობა მეტის-მეტად ძნელი გამოდიოდა; მიწა მოცვივოდა და აწვებოდა ფიცრებს. ამ გვარად მე თავის დღეში ვერ ამოვიდოდი მიწიდან. თიხის ნამტრევეები მაწვებოდნენ ზურგზე და მიკრავდნენ პირს კუბოს ფსკერზე. შიშმა კვლავ ერთი-ათად შემიპყრო, მაგრამ უცრად, ამ დროს, როდესაც ფეხები გავტყემე, მე მომიჩვენა, რომ ფეხებთან თითქო ფიცარი იდრეკებოდა. მე გავიფიქრე, შეიძლება აქ ახალი საფლავი იყოს-მეთქი გათხრილი და მაგრად მივაწევი ფიცარს.

შეცრად ჩემი ფეხები საღლაც, ცარიელ სივრცეში გავარდნენ. ჩემი იმედი მართალი გამოდგა: იქ მართლა ახლად ამოთხრილი საფლავი იყო. მე დამჭირდა მხოლოდ პატარა შიშის კედლის გამოვლევვა, რომლის შემდეგ გამოვარდი ღია საფლავში. ღმერთო ჩემო! მე გადავჩიო, დასასრულ მეშველა.

ილ. ბ. ხ. ტ. მ. გ.
(დასასრული შემდეგ)

მოქმედო მიზნით არის ჭიდაობა და ბევრი ბილეთები გაუდგო, ეს მანძი იმას ნებას არ აძლევს, რომ ძალად მოაწოდონ ხალხს და განწყობილობაში დაინარჩუნონ ბილეთების საყიდლად; და თუ თავის ნებით მოქმედებს ბ. ბუგიჩვი, მაშინ უმოკლესად ვთხოვთ, ვისაც ჯერ არს, უფრადლება მიაჭირონ ამ მოქმედებას.

გუგული.

საქონლის

(ჩრდილოეთის სააგენტოს...)

22 დეკემბერს.

პატარა შიშნა. «ქურნაღ დე სან-პეტერბურს» არდევს უცხოეთელი გაზეთების ცნობას, ვითომც რუსეთი ბანკინგის დაცლას ურჩევდეს ჩინეთს. ეს გაზეთი ამბობს, რომ სახელმწიფოანი ერთიერთმანეთს რჩევას მხოლოდ მაშინ აძლევს, როდესაც სთხოვენ ამას. როგორათაც სხვა სახელმწიფოებს, რუსეთსაცა ჰსურს, რომ პეკინი და შანჯი კეთილ-გონიერად მოქმედებდნენ და მათი უთანხმოება უსისხლოდ დაბოლოვდეს.

გუშინ შინაურს საქმეთა მინისტრის ამხანაგის დერნოვოს და პროტესტორი ბოტკინის თანადსწრებით ქალაქის ახლად გაკეთებულს ორთქლის გამერაში სცადეს დეზინფექცია, და აღმოჩნდა, რომ საათ-ნახევარში შეიძლება ასს ფუტს თეთრეულს უკან დეზინფექცია; ტუპიულობას ქიმიური საშუალებით უშვრებიან დეზინფექციას. გუშინ სცადეს აგრეთვე შირველად ნევის პროსპექტის ელექტრონით განათება, მაგრამ მარჯვედ ვერ მოუხდათ.

რ.მ.მ. მეფემ მიიღო რუსეთის სასახლის წინაშე ახლად დანიშნული ელჩი გრევი, რომელიც ამ გვირის დამღვეს პეტერბურგში მიდის.

ბოლონო. განადაში პასაჟირების მატარებელი და საქონლისა ერთმანეთს დაეჯახნენ; ამ დროს 27 კაცი მოკვდა და 30-მდინ დაზარადა.

განსვალეანი

4,000 თეფში 1-ს სორტისა, ორი მანეთი დუეინი! დანები ჩანგლებით, ჩაი 1-ი მოკრეფისა, მშვენიერი, 1 მან. 60 კაპ.; ხველების განჭეტები და მურაბა სხვა-და-სხვა სორტებისა, ესენცია კაკაოსი, პიკულები, თოფები, რევოლვერები, ფლანგელები და სხ. ბევრი ინვალისის მალაზიაში, აგრეთვე ყოველთვის ინგლისური და ფრანგული რეზინის კრაბები და სხვა საქონელი 307. უფრო იაფად, ვიდრე სხვაგან სადმე. (8-6)

საქონლი.

გლიტერინისა, ნუშისა, ვარდისა, კორბოლოვისა, ლატუშისა, ბრინჯისა და სხვა ბევრი ინგლისის მალაზიაში. იქვე ოდეკალონი და სხვა ტუალეტის კუთვნილებანი 25%-ით უფრო იაფად, ვიდრე სხვაგან სადმე. (12-1)

სარდავი კახური ღვინოებისა

ალაზანი

სოლოლაკის ქუჩა, სახლი № 12, საადგილ-მამულო ბანკის პირ-და-პირ. დეკლარაციებისათვის მიღებულია დიდძალი კახური ღვინოები საუკეთესო ღვინოებისა (20 კაპ.—1 მან. ბოთლი უჭურქოლად).

თავადი ანდრონიკაშვილი.

(3-2)

ინბირის მურაბის ბანკა 85 კაპ., მშენიერი აველსინის მარმელადი ქილა (5 გირ.) 1 მან. 30 კ., ტუალეტი ხმისთვის და ხველებისთვის გირეანქა 80 კ., ინდიური ბრინჯი 6 კ., ფინჯნები ლამაჟებითა ღუფ. 2 მ. 40 კ.-დამ, წისქვილები ყვესთვისა 1 მანათილამ, ბეზმერი სასწორი 1 მან. 25 კ.-დამ, საოჯახო სასწორი 5 მ.-დამ, ინვალისის მალაზიაში. აქვე იყიდება ძალიან იაფად: ჩინიკები, ფოდნოსები, პრიბორი და სხვა საქონელი ბრიტანიის მეტალისა, ფანრები, უთოები, უნაგირები; კლიონკები და სხ. მზის საათი და ხელოვნებითი ყვეილები შუშის კოლპაკებით ნახევარ ფასად იყიდებიან. (8-5)

რადგან ვსაზობთ ვაჭრობას სასმელებით და სხვათა საქონლით, ამისათვის არა ჩვეულებრივის სიიუფით ვუადით: განაგს, შორტეინს, სერესს, შამპანის ღვინოს და სიგარებს ღონდონის მაგაზინში გამერციულ ბანკის ქვეშ. (10-2)

ინვალისის მალაზია

Maison de confiance

შუადარეთ ჩვენი ჩაი	მოსკოვის ჩაი
1 მ. 10 კ.	1 მ. 40 ს.
— — 1—20	— — 1—60
— — 1—40	— — 1—80
— — 1—60	— — 2—
— — 1—80	— — 2—50
საუკეთესო 2—	— — 3—

იქვე ისყიდება სხვა საქონელიც: თოფები, რევოლვერები, კრაბები, კრაბები, ჩაი, ჩაი, გასაღებები, დანები, კოვრები, ტანტები, კალმები, ქაღალდი, შოკოლადი, კაკაო, კანფეტები, მურაბები, მაგნეზია, უნაგირები, კლეონკა, წინდები—გაცის და ქაღის, ხელ-სახოცები, მაგინტოშის კალენგორა—სულ ყველაფერი 25-დამ 50 პროცენტით უფრო იაფად, ვიდრე სხვა რომელსამე მაღაზიაში.

ვინც ქაღაქს გარდა 25 მანეთიდან 1,000 მანეთამდე საქონელს გამოიწერს, გასაგზავნს არაფერს არ ისდას. (100-79)

ინგლისის მალაზიაში

თიის-სამოყვანი

ამაგრებს თმას და აღინდელ ფერს აძლევს, ფასი ერთი შუშისა 2 მან., გაგზავნიით 2 მანეთი და 28 კაპ.

(100-76)



ინგლისის მალაზიაში

აქვე ისყიდება ქინის ზომადა თმების გასამაგრებლად. ფასი 1 მან. სწორტები თავის ტვიკილის მოსასპობლად, ტუალეტის საპონი, დუხები და სხვ.

საკლობუსო კალმები

რომლებითაც შეიძლება წერა სულ მსხვილ, უსუფთოა ქაღალდი. ერთადერთი სააგენტო—ინგლისის მალაზია. იქვე აუარებული სხვა-და-სხვა გვარის კალმები, ყოველს „სელისათვის“—25% იაფად, ვინც სხვაგან. იქვე: მელანი, ქაღალდი, კანფეტები, რეკულები, ლაქი, კარანდაში, პენალი, კალმები, ბუმაჟიკები, შორტეინები, ალბომები, რამები, მაგნეტები, სამართებლები, სახთელი, საღესი, ცრაშები ჭურჭლების საწმეად (ბორაკისა), თეთრეულისათვის, შატარა ხალკი, იატაკისათვის კლიონკები, ტანტები, სავარძლები, სარკები, სავარცხლები, ბეზმენი, ზარები, ბინოკლები რეკულები, გატერხავები, მზის-სათები, კომპასები, ტერმომეტრები, ტერმომეტრები, ნემსები, მაგნეტები, სვისტოკი, ზომიანი, ქამრები, სარტულები. საყუფური, პრობები, საპრობები, კრანები, ფილტრები, შორტეინი, თავის. ტანისამოსის, ცხენის და შატენტიანი მაგინტოშები, კრაბები, საქამოა ქაღალდი გატერ-გლოზებისათვის და სხვ. და სხვ.

პატაშქი—20 კ.

(100-9)

ქურნალი „ივერია“

(წელიწადი მერვე)

მომავალ 1884 წ. იანვრიდან ქურნალი «ივერია» გამოვა ყოველ-თთვე და თთვე იმავე სახით და სიერციით, როგორც აქამომდე გამოდიოდა.

ხელის-მოწერა მიიღება

თბილისში: შვედროვის სააგენტოში და «ივერიის» რედაქციაში, რომელაც იმყოფება სიმონსონოვის ქუჩაზედ, ნახაროვის სახლებში, პირველი კლასიკური გინაზიის უკან, სადაც ზედა სართულში «დროების» რედაქციაა და იქვე, შუა სართულში, რედაქცია «ივერიისა».

მეთაისში, შილაძეების წიგნის მაღაზიაში, ბულვართან. ბათუმში, «წერა-კითხვის საზოგადოების» სკოლის მასწავლებელ მ. ი. ნათაძესთან.

შასი მთელის წლისა 7 მან., სოფლის მასწავლებელთათვის—5 მან. ძალაქს გარეშე მცხოვრებთა ამ აღრესით უნდა დაიბარონ ქურნალი: Въ Тифлисъ, въ редакцію журнала «Иверія».

ხედრი ფული ხელის-მომწერმა ქურნალის დაბარებისათანავე უნდა გამოგზავნოს რედაქციაში. (10-8) რედაქტორი და გამომცემელი ილ. ჭავჭავაძე.

СЪ 1-го ЯНВАРЯ 1884 ГОДА
 ВЪ ТИФЛИСЪ БУДЕТЪ ИЗДАВАТЬСЯ
 НОВАЯ ЕЖЕДНЕВНАЯ (350-НУМЕРОВЪ ВЪ ГОДЪ) ЛИТЕРАТУРНО-ПОЛИТИЧЕСКАЯ
 ГАЗЕТА
 „НОВОЕ ОБОЗРѢНІЕ“
 подъ редакцію А. В. СТЕПАНОВА (бывш. редакторъ «Юрид. Обозр.»)

Объемъ газеты—печатный листъ средняго формата; программа—общая всеѣмъ литературно-политическимъ ежедневнымъ изданіямъ. Подписная цѣна съ пересылкою и доставкою: на годъ—10 руб.; на 6 мѣс.—6 р., на 3 мѣс.—3 р. 50 к., на 1 мѣс.—1 р. 50 к. Подписка (городская и иногородная) и объявленія (по 5 коп. за строку петита) принимаются въ Тифлисъ исключительно въ Газетномъ Агентствѣ В. Шавердова; въ С.-Петербургѣ-же и Москвѣ—въ книжныхъ магазинахъ «Новаго Времени». Временное (до 15-го декабря) помѣщеніе редакціи: Давидовская ул., д. Кананова, квартира редактора. За газетой обезпечено постоянное сотрудничество: кн. К. А. Бебутова, Вс. М. Гаршина, П. А. Измайлова, С. П. Кривенко, Н. Я. Николадзе, П. А. Опочинина, А. Н. Плещеева, И. Ф. Тхоржевскаго, Гл. И. Успенскаго, Н. А. Шаврова. (20-15)